საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 11601/01
09/11/2021

11601-01-2-202111091216

ი/მ გიორგი ხარშილაძეს

მის: ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი, სოფ. თელა

ელ. ფოსტა: Shpsnewgroup@gmail.com

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი N13350 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში, სოფ. გიორგეთში ქვიშა-ხრეშის სამსხვრევ-დამახარისხებელი საწარმოს (სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავება) მოწყობასა და ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაში არ არის მოცემული და დაზუსტებას საჭიროებს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი საპროექტო ტერიტორიიდან ორი საკადასტრო ერთეული (54.12.52.484 და 54.12.52.363) წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებს. „მიწის მიზნობრივი დანიშნულების განსაზღვრისა და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მდგრადი მართვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის მიზნობრივი დანიშნულების ცვლილების გარეშე მისი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენება დაუშვებელია;
- სკრინინგის განცხადების მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე მოწყობილია 2 ჭა, რომელიც მოემსახურება საწარმოს სასმელ-სამეურნეო და ტექნიკური საჭიროებისთვის (გვ. 20), ხოლო საწარმოს გენ-გეგმაზე მოცემულია საპროექტო ჭების შესახებ ინფორმაცია (გვ. 12), შესაბამისად აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას;
- სკრინინგის განცხადების მიხედვით, საწარმოში გათვალისწინებულია მტვრის შემაკავებელი სისტემის, შხეფ-დანადგარის მონტაჟი, რომლის წარმადობა იქნება: 1000 ლ/სთ (შერეული ჰაერის მასასთან ერთად), რომლის მეშვეობით მტვრის ნაწილაკები მძიმდება და ბრუნდება კვლავ ნედლეულზე ან მიწის ზედაპირზე. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საწარმოში ტექნიკური საჭიროებისთვის, დღის განმავლობაში, ორივე ტექნოლოგიური ხაზისთვის გათვალისწინებულია დაახლოებით 12 ტონა წყლის გამოყენება. სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იყოს დეტალური ინფორმაცია საწარმოო ტექნოლოგიაში გამოყენებული წყლის მართვის შესახებ;

- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იყოს სანიაღვრე წყლების მართვის შესახებ ინფორმაცია, რომლის ქსელიც დატანილი უნდა იქნეს საწარმოს გენ-გეგმაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს ზემოაღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით, განახლებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

გიორგი ხანიშვილი

მინისტრის პირველი მოადგილე